საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №320
2014 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 68^2 მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „6^1“ პუნქტი:

„6^1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 50-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნისას, განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, რაც ადასტურებს, რომ პირი ქონებით ვერ სარგებლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ საცხოვრებლად გამოყენების გამო და ეს ქონება რეგისტრირებულია, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი.“;

ბ) მე–7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ განცხადება არასრულადაა შევსებული ან/და განსაზღვრულ შემთხვევაში განცხადებას არ ერთვის ამ მუხლის მე-5, მე-6 ან/და 6^1 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, საგადასახადო ორგანო 3 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განცხადების წარმდგენ პირს ხარვეზის თაობაზე და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**